



# ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა  
2019 წლის შეჯამება  
30 იანვარი 2020

## 2019 წლის მნიშვნელოვანი სიახლეები

ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტმა 2019 წელს 70.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წელს ელექტროენერჯის მოხმარება 1.4%-ით გაიზარდა. ამასთან, არასახარბიელო ჰიდროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, 10.1%-ით შემცირდა ჰიდრო გენერაცია. ამ პირობებში ელექტროენერჯის მოხმარება დაკმაყოფილდა გაზრდილი იმპორტით (+7.8% წ/წ) და თბოგენერაციით (+34.3% წ/წ), ასევე შემცირდა ექსპორტით (-58.8% წ/წ). საბოლოოდ, 2019 წელს იმპორტში გადახდილმა თანხამ 78.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (+3.4% წ/წ), ხოლო ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 7.8 მლნ აშშ დოლარი. შესაბამისად, ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტი წლიურად 24.2%-ით გაიზარდა და ისტორიულ მაქსიმუმს, 70.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

**ევა ბოჭორიშვილი**  
კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
evabochoishvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.8036


**მარიამ ჩახვაშვილი**  
უფროსი ანალიტიკოსი  
mchakhvashvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.7897

2020 წელს საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარების 5.0%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, 2020 წლის ელექტროენერჯის მოხმარების 72.6% ჰესებით, 18.2% თბოსადგურებით, ხოლო 8.6%-ის იმპორტით დაკმაყოფილება. საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, 2020 წელს საქსპორტო თვეებზე განისაზღვრა მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო.

„საქართველოს კაპიტალმა“ ქართლის ქარის ელექტროსადგური და შპს ჰიდროლეა შეისყიდა. სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს მიერ აშენებული ქარის ერთადერთი მოქმედი ელექტროსადგურის (20.6მგვტ) შესყიდვა 14.4 მლნ დოლარად განხორციელდა. გარიგების მიხედვით, სადგურის გარანტირებული შესყიდვის საფასური შემცირდა და კვტ.სთ-ზე 6.5 აშშ ცენტი შეადგინა (ნაცვლად 6.89 აშშ ცენტისა). შპს „ჰიდროლეა“-ს 100%-იანი წილის და მის მფლობელობაში მყოფი 3 მოქმედი (21 მგვტ) და 1 მშენებარე (19მგვტ) ჰესის შესყიდვის ღირებულება კი დაახლოებით 23.3 მლნ დოლარს შეადგენდა. გარდა აღნიშნულისა, „საქართველოს კაპიტალის“ პორტფელი განახლებად ენერჯიაში ასევე მოიცავს 200მგვტ მოქმედ ჰესებს და დაახლოებით 350მგვტ-ის მიმდინარე პროექტებს.


2019-20 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა 9 ჰესი, ჯამური სიმძლავრით 72მგვტ. აქედან 50 მგვტ მესტიაჭალა 1 & 2-ზე მოდის, ხოლო დანარჩენი მცირე ზომის 7 ელექტროსადგურზე (საშუალოდ 3.5მგვტ სიმძლავრით). გარდა ამისა, 2019 წლის ბოლოდან ტესტირების რეჟიმშია 230მგვტ-იანი თბოსადგური გარდაბანი-2.

გრაფიკი 1: დადგმული სიმძლავრე ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის მიხედვით, მგვტ



წყარო: ესკო, სსე

გრაფიკი 2: დადგმული სიმძლავრე, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით, მგვტ



წყარო: ესკო




**სატარიფო ცვლილებები**

სემეკმა მნიშვნელოვანი სატარიფო ცვლილებები განახორციელა თბოსადგურების, ენგურ-ვარდნილის და ელექტროსისტემისათვის; აგრეთვე, დამტკიცდა ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფები.


ენგურისა და ვარდნილის ტარიფები შემცირდა, დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების 2019 წლის ნაცვლად 2021-22 წლამდე გადატანის გამო. ენგურის ტარიფი 1.818 თეთრიდან 1.358 თეთრამდე შემცირდა (25.3%-იანი კლება), ხოლო ვარდნილის ტარიფი თითქმის განახევრდა და კვტ.სთ-ზე 2.206 თეთრით განისაზღვრა, 2018-19 წლებში მოქმედი 4.002 თეთრის ნაცვლად (44.9%-იანი კლება). სემეკის მეთოდოლოგიის მიხედვით, ენერჯეტიკულ სექტორში მოქმედი რეგულირებული კომპანიებისთვის ტარიფი დგინდება 3 წლის ვადით და მათი შუალედური გადასინჯვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ რეალობა მნიშვნელოვნადაა გადახრილი საწყისი საინვესტიციო გეგმიდან. 2020 წლისთვის ტარიფის შემცირების ძირითადი მიზეზი ენგურის გვირაბის და ვარდნილის ელექტრო-მექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის 2019 წლიდან 2021 ან 2022 წლამდე გადატანა იყო.

გრაფიკი 3: რეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების ტარიფები 2020 წლისთვის, თეთრი/კვტ.სთ-ზე



წყარო: სემეკი

გრაფიკი 4: ჰიდროსადგურების გენერაცია რეგულირების ტიპის მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

ენგურის ფასის კლებამ საბალანსო ბაზრის ფასებზეც მოახდინა გავლენა. ესკოს მიერ დერეგულირებული სადგურებისთვის გადასახდელი საბალანსო ელექტროენერჯის საფასური მასივი-აგვისტოს განმავლობაში მიბმულია რეგულირებულ ჰიდროსადგურებიდან უმცირესზე, ასეთ ნიშნულს 2018 წლიდან წარმოადგენს ენგურის ტარიფი. შესაბამისად, 2020 წელს ის სადგურები, რომლებსაც არ ეყოლებათ პირდაპირი მყიდველები, ესკოსგან კვტ.სთ-ზე 1.358 თეთრს მიიღებენ. აქვე შეგახსენებთ, რომ 2019 წლის ბოლოს ხრამის კასკადის ტარიფის კორექციით აღნიშნული საბალანსო ენერჯის სექტემბერ-აპრილის პერიოდის ტარიფიც შეიცვალა და კვტ.სთ-ზე 12.304 თეთრი შეადგინა (+15.9% წ/წ).

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გადაცემის საფასური შემცირდა და კვტ.სთ-ზე 1.013 თეთრით განისაზღვრა, ნაცვლად 2018-19 წლებში მოქმედი 1.323 თეთრისა (23.4%-იანი კლება). ეს ტარიფი, სხვა მომსახურების საფასურებთან ერთად გადაიხდება პირდაპირი მომხმარებლების, ექსპორტიორებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მიერ. აღნიშნული ტარიფის კლებამ, მომსახურების საფასურების ჯამური მოცულობა წლიურად 12.9%-ით შეამცირა.

ცხრილი 1: მომსახურების საფასური 2020 წელს, თეთრი/ კვტ.სთ-ზე	
დისპეტჩერიზაცია (სსე)	0.412
გადაცემა (სსე)	1.013
გადაცემა (საქრუსენერგო)	0.278
გადაცემა (ენერგოტრანსი)	0.380
ესკოს საფასური	0.019
<b>ჯამი</b>	<b>2.102</b>




**დადგინდა თბოსადგურების ახალი ტარიფები 2020-22 წლებისთვის.** თბოსადგურებს აქვთ ორი შემოსავლის წყარო - ტარიფი წარმოებული ელექტროენერჯისთვის და გარანტირებული სიმძლავრის საფასური:

1) **წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფის** დათვლის მეთოდოლოგია შეიცვალა და ყოველწლიური ფიქსირებული ტარიფის მაგივრად გახდა ყოველთვიურად ცვლადი. თუმცა ძირითადი პრინციპი, რომელიც მხოლოდ ცვლადი ხარჯების დაფარვას გულისხმობდა, უცვლელი დარჩა. საგულისხმოა, რომ სემეკის მიერ დაწესებული გაზის შესასყიდი ფასი იგივე ნიშნულზე დარჩა (1000 მ3-ზე 143 დოლარი). ამრიგად, რადიკალური ცვლილება ამ ტარიფებში მოსალოდნელი არაა, მხოლოდ მცირედი ზრდა შესაძლოა დაფიქსირდეს ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით.

2) **გარანტირებული სიმძლავრის საფასურით** ინვესტორი ახდენს ჩადებულ ინვესტიციის ამოღებას და წინასწარ განსაზღვრული სარგებლის მიღებას. თავის მხრივ, ეს არის სისტემისთვის რეზერვის წყარო. გარანტირებული სიმძლავრის საფასურს თბოსადგური იღებს მისი მზადყოფნისთვის აწარმოოს ელექტროენერჯია დისპეტჩერის განკარგულებისთანავე. გარანტირებული სიმძლავრის საფასური გაიზარდა ხუთივე თბოსადგურისთვის: მე-3 და მე-4 ბლოკებისთვის წლიურად 25.8%-ით, გარდაბანისთვის 5.3%-ით და უმნიშვნელოდ მტკვარი ენერჯისა და ჯი-ფაურისთვის. წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს თბოსადგურები ჯამურად მიიღებენ 170.5 მლნ ლარს გარანტირებული სიმძლავრის საფასურის სახით. ამ თანხის გადახდა ხდება მომხმარებლებისა და ექსპორტიორების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის პროპორციულად.


აღსანიშნავია, რომ **ახალი თბოსადგური გარდაბანი-2, სხვებისგან განსხვავებით, არ მიიღებს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს.** მის შემოსავალს უზრუნველყოფს 14-წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც ყოველწლიურად შესასყიდი 1,200 კვტ.სთ-ისთვის ტარიფი კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტით განისაზღვრა.

გრაფიკი 5: გარანტირებული სიმძლავრის დღიური საფასური თბოსადგურებისთვის, ათასი ლარი დღეზე



წყარო: სემეკი

გრაფიკი 6: ბუნებრივი აირის საყოფაცხოვრებო ტარიფები 2020-22 წლებისთვის, თეთრი/მ3-ზე



წყარო: სემეკი

შენიშვნა: სოკარის და საქორგაზს განაწილების ტარიფი მოქმედებს მხოლოდ 01.07.2020-მდე, ტარიფში ინვესტიციების ასახვის შესახებ მთავრობასთან მიმდინარე მოლაპარაკებების გამო

**ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფები უცვლელი დარჩა 2020-22 წლებისთვის.** თბილისი ენერჯისთვის სამომხმარებლო ტარიფი მ3-ზე 46.139 თეთრით, სოკარ ჯორჯიასთვის 56.928 თეთრით, ხოლო საქორგაზისთვის - 56.99 თეთრით განისაზღვრა. ამ 3 კომპანიის წილი ჯამურ მიწოდებაში 90%-ს შეადგენს, ხოლო დანარჩენი 10%-ის მიწოდება ხდება სხვადასხვა გამანაწილებელი კომპანიების მეშვეობით (ჯამში 23 კომპანია), როგორებიცაა თელავგაზი, ვარკეთილარი და ა.შ.



**ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი - 2019 წლის შეჯამება**


**ადგილობრივი მოხმარება**

ელექტროენერჯის მოხმარება 2019 წელს წლიურად 1.4%-ით გაიზარდა და 12.8 ტვტ.სთ შეადგინა. ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელებულია, როგორც წინა წლებთან, ისე პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით. ზრდის ტემპის შემცირება ძირითადად კლიმატური პირობებით აიხსნება. აღსანიშნავია, ჯორჯიან მანგანეზის ელექტროენერჯის მოხმარების წლიურად 7.8%-იანი კლებაც, რამაც ქვეყნის ჯამური მოხმარების ზრდა 0.7 პროცენტული პუნქტით შეამცირა.

მომხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებში მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს. კვალიფიციური (პირდაპირი მოხმარებლები) საწარმოების მოხმარება 2019 წელს წლიურად 59.6%-ით გაიზარდა, რაც ამ ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, იგივე მიზეზით დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 11.6%-ით შემცირდა. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება შემცირდა (-16.3% წ/წ), რადგან მისი აბონენტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მოხმარებლად დარეგისტრირდა. შეგახსენებთ, რომ ბაზრის დერეგულირების გეგმის ფარგლებში, რომელიც 2018 წლიდან დაიწყო, ყველა კომპანია, რომელთა საშუალო თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 გვტ.სთ-ს სავალდებულო წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მოხმარებლად. შედეგად, პირდაპირი მოხმარებლების რიცხვი გაიზარდა 2-დან 15-მდე. ამასთან, მათი წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში 2017-19 წლებში 12.0%-დან 22.4%-მდე გაიზარდა.

2019 წელს ესკო პირდაპირი მოხმარებლების ჯგუფის უმსხვილესი მიმწოდებელი იყო, დაახლოებით 40%-იანი წილით (10 თვის მონაცემებით). ეს აიხსნება ესკოს მიერ შეთავაზებული დაბალი ფასით მაისსა და ივნისში, რასაც ენგურჰესის იაფიან რესურსზე ხელმისაწვდომობა განაპირობებდა (იხილეთ ცხრილი 4). 2019 წელს დარეგისტრირებული საბითუმო მიმწოდებლები ჯერ ბაზარზე ნაკლებად აქტიურები არიან, 10-დან მხოლოდ სამია ჩართული ვაჭრობაში, ისიც მხოლოდ 3%-იანი წილით. მათი გააქტიურება მოსალოდნელია ბაზრის დერეგულირების გავრცელების პარალელურად.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



ცხრილი 2: ელექტროენერჯის მოხმარება, 2019 წელი

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
შიდა მოხმარება	+1.4%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+7.2%	16.1%
კვალიფიციური საწარმოები	+59.6%	22.4%
სადისტრიბუციო კომპანიები	-11.6%	61.4%
ენერგო-პრო ჯორჯია	-16.3%	38.7%
თელასი	-2.3%	22.7%

წყარო: ესკო




**ელექტროენერჯის გენერაცია**

მიუხედავად მოხმარების დაგეგმილზე დაბალი ტემპით ზრდისა, **იმპორტი** წლიურად 7.8%-ით, ხოლო **თბოგენერაცია** 34.3%-ით გაიზარდა, რაც არასახარბიელო ჰიდროლოგიური პირობებით გამოწვეულ დაბალ ჰიდრო გენერაციას უკავშირდება. 2019 წელს **ჰიდრო გენერაცია** 10.1%-ით შემცირდა და ჯამური მიწოდების მხოლოდ 66.3% შეადგინა, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი წილობრივი მაჩვენებელია.

ენგურ-ვარდნილის გენერაციის 45.0% მოხმარდა აფხაზეთის რეგიონის გაზრდილ მოხმარებას (+7.8% წ/წ). ამ რეგიონისთვის ასევე საჭირო გახდა ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება რუსეთიდან, სალხინოს გადამცემი ხაზის მეშვეობით, თებერვალ-მარტის და დეკემბრის განმავლობაში.

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

ცხრილი 3: ელექტროენერჯის მიწოდება, 2019 წელი

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წლი ჯამური მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-1.2%	100.0%
იმპორტი	+7.8%	12.1%
ადგილობრივი გენერაცია	-2.3%	87.9%
თბოსადგურები	+34.3%	21.1%
ქარის სადგურები	+5%	0.6%
ჰესები	-10.1%	66.3%
ენგური-ვარდნილი	-15.3%	29.9%
სხვა რეგ. ჰესები	-11.6%	19.2%
დერეგულირებული ჰესები	+2.7%	17.2%


წყარო: ესკო



**ელექტროენერჯის იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი**


**2019 წელს ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 7.8%-ით გაიზარდა და 1.6 ტვტ.სთ შეადგინა.** აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივლისსა და აგვისტოში პირველად განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი, მაშინ როცა ეს თვეები წლების განმავლობაში საექსპორტო თვეებად მიიჩნეოდა. ელექტროენერჯის იმპორტი აზერბაიჯანიდან (ჯამურის 68%) და რუსეთიდან (ჯამურის 32%) განხორციელდა.

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის იმპორტის დინამიკა და საშუალო ფასები, 2019 წელი




წყარო: ესკო

**ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტმა 2019 წელს ისტორიულ მაქსიმუმს 70.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია,** რაც წლიურად 24.2%-იანი ზრდაა. 2019 წელს იმპორტში გადახდილმა თანხამ 78.3 აშშ დოლარი შეადგინა (+3.4% წ/წ), რაც კვტ.სთ-ზე საშუალოდ 4.8 აშშ ცენტია. აქედან დაახლოებით 22 მლნ აშშ დოლარი რუსეთიდან იმპორტში დაიხარჯა. ელექტროენერჯის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა ბოლო ათ წელიწადში რეკორდულად მცირე თანხა - 7.8 აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის მოცულობის 58.8%-იანი (0.2 ტვტ.სთ-მდე) შემცირება ადგილობრივი ბაზრის დეფიციტურობით და საექსპორტო ბაზრების დაბალი მომგებიანობით აიხსნება.


აღსანიშნავია, რომ 2019 წელს პირველად ელექტროენერჯია მოხვდა ტოპ-10 იმპორტირებული პროდუქტის სიაში. მისი წილი ქვეყნის ჯამური იმპორტში 0.86%-ს შეადგენს და დაახლოებით ამ ნიშნულზეა 2017 წლიდან მოყოლებული.

გრაფიკი 11: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ. დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი




ელექტროენერჯის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 136.2 გვტ.სთ შეადგინა, 2019 წელს, ტრანზიტის მოცულობა 10-ჯერაა გაზრდილი 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თუმცა ბევრად ჩამორჩება 2016 და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როდესაც ტრანზიტის ყველაზე მაღალი მოცულობები დაფიქსირდა.

### ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში - 2019 წელი

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.8 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც წლიური 5.0%-იანი კლებაა. საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო ფასის კლება ესკოს მიერ ენგურის შედარებით იაფიანი ენერჯის შესყიდვით და შედეგად შემცირებული გასაყიდი ფასით აიხსნება. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 21.4% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი 2019 წელს საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტს შეადგენდა (-1.3% წ/წ). აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის საქსპორტო თვეებში მაისსა და ივნისში თურქეთში ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო და კვტ.სთ-ზე შესაბამისად 3.4 აშშ ცენტს და 4.1 აშშ ცენტს შეადგენდა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ექსპორტის შემცირებული მოცულობა თურქეთის მიმართულებით.

გრაფიკი 13: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი, სეზი, EPIAS



**ცხრილი 4: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე**

	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოე-19	დეკ-19	2019
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში	5.0	5.1	5.2	5.0	4.8	2.7	2.6	4.7	4.9	5.0	5.0	5.2	5.1	4.8
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	+1%	-3%	+0%	-3%	-50%	-50%	+30%	+4%	+12%	-6%	+2%	-4%	-5.0%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	5.0	5.0	4.5	3.6	5.0	5.5	5.5	5.2	5.2	5.1	4.7	5.0	5.2	4.8
%-ლი ცვლილება, წ/წ	+13%	-3%	-14%	-27%	-12%	-5%	-4%	-13%	+12%	+20%	-7%	+1%	-0%	-4.1%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	3.2	-	-	6.0	1.2	3.0	3.2	5.2	5.5	1.7	5.5	5.5	-	3.2
%-ლი ცვლილება, წ/წ	+22%	-	-	-	-59%	-8%	+1%	+52%	-7%	-71.0%	-26%	-	-	-0.4%
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში	4.8	4.4	5.0	4.8	3.4	3.4	4.1	5.4	5.4	5.3	5.1	5.3	5.4	4.7
%-ლი ცვლილება, წ/წ	+4%	-11%	+6%	+16%	-29%	-18%	+1%	+23%	+1.9%	+1.0%	-7%	-4%	+9%	-0.3%

წყარო: ესკო, საქსტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (N/M) როცა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.





**ცხრილი 5: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ**

	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	2019
<b>სულ შიდა მოხმარება</b>	<b>12,577</b>	<b>1,148</b>	<b>1,036</b>	<b>1,137</b>	<b>1,010</b>	<b>984</b>	<b>1,064</b>	<b>1,107</b>	<b>1,103</b>	<b>971</b>	<b>958</b>	<b>1,068</b>	<b>1,173</b>	<b>12,759</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+6.1%	-2%	-2%	+2%	+3%	+2%	+9%	+1.5%	+5.3%	+1.8%	-1.9%	-0.8%	+0.2%	+1.4%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	<b>1,922</b>	254	221	242	187	114	108	117	128	115	126	197	251	<b>2,060</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-4.0%	+3%	+2%	+17%	+26%	+13%	+7%	+1%	+6%	+9%	+3%	+2%	+3%	+7.2%
- კვალიფიციური საწარმოები	<b>1,794</b>	144	129	154	144	313	324	334	308	290	257	239	227	<b>2,864</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+25.7%	+33%	+24%	+34%	+31%	+74%	+84%	+84%	+80%	+81%	+52%	+50%	+42%	+59.6%
- სადისტრიბუციო კომპანიები	<b>8,862</b>	750	686	741	680	557	631	656	666	566	575	632	695	<b>7,835</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+5.2%	-8%	-7%	-6%	-6%	-18%	-10%	-17%	-12%	-18%	-16%	-13%	-10%	-11.6%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	<b>5,891</b>	481	445	488	458	341	379	404	424	358	360	379	416	<b>4,933</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+12.1%	-8%	-6%	-6%	-5%	-27%	-20%	-23%	-19%	-23%	-23%	-21%	-16%	-16.3%
- თელასი	<b>2,970</b>	269	241	253	221	216	252	252	243	208	215	253	279	<b>2,902</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1.2%	-8%	-8%	-7%	-7%	+1%	+12%	-7%	+3%	-6%	-2%	+2%	+1%	-2.3%
<b>სულ გენერაცია</b>	<b>12,149</b>	<b>1,011</b>	<b>939</b>	<b>974</b>	<b>966</b>	<b>1,156</b>	<b>1,198</b>	<b>1,055</b>	<b>1,020</b>	<b>821</b>	<b>800</b>	<b>913</b>	<b>1,012</b>	<b>11,865</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+5.4%	-0%	+0%	-2%	-9%	-0%	-1%	-17%	+4%	-3%	+2%	+1%	+3%	-2.3%
<i>მათ შორის:</i>														
- ჰიდროსადგურები	<b>9,949</b>	601	511	540	801	1,150	1,185	1,043	874	607	580	503	545	<b>8,940</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+8.0%	-11%	-14%	-30%	-21%	+7%	-1%	-17%	+6%	-11%	+0%	-11%	-23%	-10.1%
- თბოსადგურები	<b>2,115</b>	405	420	426	159	0	7	3	138	207	214	402	460	<b>2,840</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-5.3%	+22%	+26%	+98%	+348%	-100%	+141%	-52%	-8%	+29%	+8%	+22%	+67%	+34.3%
- ქარის სადგურები	<b>84</b>	6	7	8	7	6	5	9	8	7	6	8	7	<b>85</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-4.0%	-18%	18%	17%	-27%	17%	6%	11%	9%	-11%	-19%	16%	5%	+0.5%
<b>იმპორტი</b>	<b>1,509</b>	<b>182</b>	<b>142</b>	<b>209</b>	<b>81</b>	<b>0</b>	<b>8</b>	<b>94</b>	<b>119</b>	<b>185</b>	<b>195</b>	<b>200</b>	<b>211</b>	<b>1,627</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+0.8%	-10%	-15%	+30%	+621%	-99%	+29%	N/A	+20%	+33%	-15%	-9%	-8%	+7.8%
<b>ექსპორტი</b>	<b>589</b>	-	-	-	-	<b>134</b>	<b>100</b>	<b>6</b>	-	-	<b>3</b>	-	-	<b>243</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-14.2%	N/A	N/A	N/A	N/A	-32.8%	-48.7%	-95.3%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-58.6%
<b>სავაჭრო ბალანსი</b>	<b>(920)</b>	<b>(182)</b>	<b>(142)</b>	<b>(209)</b>	<b>(81)</b>	<b>134</b>	<b>92</b>	<b>(88)</b>	<b>(119)</b>	<b>(185)</b>	<b>(193)</b>	<b>(200)</b>	<b>(211)</b>	<b>(1,383)</b>
<b>ტრანზიტი</b>	<b>13</b>	-	<b>9</b>	<b>6</b>	<b>9</b>	-	-	-	<b>38</b>	<b>33</b>	-	<b>22</b>	<b>19</b>	<b>136</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-94.7%	N/A	-33%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-80%	-83%	+913.6%

წყარო: ესკო



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მიზანრის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მოდერნიზაციაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
ზაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
კახაბერ სამკურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge